თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 27 იანვარი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი –ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ანდრო მარჯანიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში რუსთაველის ხიდზე ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის და აღმაშენებლის გამზირზე მდებარე გრ. ხანძთელის სახელობის ხიდზე მოაჯირის, ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადება №1068. 21.01.2014 წ.).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრის მალხაზ ბასილაძის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისში რუსთაველის ხიდზე ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის და აღმაშენებლის გამზირზე მდებარე გრ. ხანძთელის სახელობის ხიდზე მოაჯირის, ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №1068. 21.01.2014 წ.) განსაზღვრულ დროში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ინდ. მეწარმე „გივი თოდაძე"-მ. ინდ. მეწარმე „გივი თოდაძის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.
კომისიის წევრმა: ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად საკონკურსო წინადადება არ განხილულა.

2. ქალაქ ქუთაისში რუსთაველის ხიდზე ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის და აღმაშენებლის გამზირზე მდებარე გრ. ხანძთელის სახელობის ხიდზე მოაჯირის, ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი ,,არ შედგა".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

მალხაზ ბასილაძე

კახაბერ დალაქიშვილი

ანდრო მარჯანიშვილი

ირაკლი გიორგაძე